ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 1758 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 ოთხშაბათი, 20 მარტი № 1758

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

1-ლ მარტიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქ გარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **5** მან. და **25** კაპ. (კაპეიკები ფოსტის მარკებათ შეიძლება გამოიგზავნოს).

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ე ქ ი მ ი
ვახტანგ ღამბაშიძე
შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24
ტელეფონი № 642.

ე ქ ი მ ი
ალექსანდრე გიორგის ძე
მალალაშვილი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმიო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუღლაევის სახლი.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა
დ ი ლ ი თ:

პ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

ზ. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი და ბავშვების 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—9 საათამდე.

გ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274 (წლ.)

მველი-სენაკის სამრეწველო ამხანაგობის
„შუამავლის“

გამგეობა ამით აცხადებს, რომ 24 მარტს ამა 1902 წ. დილის ათ საათზე, დაბა ძველ სენაკში დანიშნულია საზოგადო წლიური კრება ამა ამხანაგობის წევრთა. კრება მეორეთ ინიშნება და განსახილველია იგივე საგნები, რომელიც აღნიშნული იყო „ცნობის ფურც.“ მე-1729 ნომერში.

(1—279—1) გამგე ა. წითლიძე.

დაჟინებული მრავალსიტყვაობა

I

ბ. ტფილისელმა ამ ბოლო დროს ხუთი თუ ექვსი წერილი დასტამბა. ამ წერილებში გლეხების მდგომარეობას შეეხო და თანაც ისევ გლეხთა კითხვის შესახებ ჩვენც გვეკამათებოდა. მართალია, ამ წერილებში ბევრი რამ იმისთანაც იყო, რომ არც გლეხებს შეეხებოდა, არც საპოლემიკო იარაღად გამოდგებოდა, მაგრამ მრავალ სიტყვაობა ჩვენი მოკამათის სუსტი მხარე ყოფილა. ამისათვის ჩვენ უყურადღებოდ ვტოვებთ წერილების იმ ადგილებს, სადაც ჩვენი მოკამათე უცხოელ სოფლის იდილიას დამღერის, სტკბება და ატკბობს მკითხველს სოფლის მყუდროების და მშვენიერების მოგონებით, უღვიძებს ადამიანს სოფელში გაქცევის და გახიზნების სურვილს, რადგან იქ, წიაღსა შინა ბუნებისასა, კაცს დარდი ექარვება, აწეწილი ნერვები უმშვიდდება და დამშვიდებული კაცის გული ღვთაების ძალას სცნობს. ყველა ამაზე ბ. ტფილისელს ჩვენ არ შევეცილებით, მით უფრო, რომ ჩვენი მოკამათე ამ ჟამად სწორედ ამგვარ „აწეწილ“ მდგომარეობაშია, სოფლის ჰავა და მყუდროება სწორედ რომ მოუხდებოდა.

მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ შემდეგს ახირებულ მდგომარეობაზედ. ბ. ტფილისელი გვისაყვედურებს, ჩემი აზრები გადაამახინჯეთ, მე ჯერ არა მითქვამს რა გლეხების მდგომარეობაზედ და თქვენ ნება არა გაქვთ, სხვისი აზრები კისერზედ მომახვიოთო. არ ვიცი, კიდევ რას, ან რამოდენას ილაპარაკებს ბ. ტფილისელი, ხოლო ის, რაც სთქვა, მეტად საინტერესოა იმის დასახასიათებლად, რა საზღვრამდე მიიყვანს ხოლმე ადამიანს მრავალსიტყვაობის ჟინი.

ბ. ტფილისელის აზრით, „დედა-ბოძად წოდებათა შორის მოურიგებლობისა ჩვენში ქონებათა უთანასწორობა არ არის...“ „...სხვა ფაქტორებს უფრო დიდი მნიშვნელობა და მეტი გავლენა აქვს ამ სამწუხარო მოვლენაზედო“.(„ივერია“ № 56) მაშასადამე, წოდებათა შორის მოურიგებლობას ბ. ტფილისელი არ უარ-ჰყოფს, თუმცა ამ მოურიგებლობის მიზეზს ქონებრივს უთანხმოებაში არა ჰხედავს. ეს ერთი.

გლეხს მიწა არ აკლიაო. თუმცა ამერეთში არის იმისთანა კუთხეები, სადაც გლეხობას საკმარისი მიწა არ უჭირავს, „მაგრამ ამისთანა რიცხვი ფრიად მცირეაო“. (№ 37). ეს მეორე. საზოგადოდ კი სახაზინო გლეხი შეძლებულია. „ნუ თუ სოფელი, რომელსაც 60—449-მდე დეს. მიწა უჭირავს, მართლა ნამდვილ მებატონეს არ ედრებაო?“ (№ 37). ასე რომ სახაზინო გლეხის ნორმალური ტიპი მებატონეს მიემგზავსება. ეს სამი. ახლადშობილ მებატონეების მდგომარეობა მეტად მტკიცეა, რადგან ახალმა კანონმა„ მათი ბედი სამუდამოდ გაარკვია და სახაზინო მიწა მათ საკუთვნოდ სცნოო“. ეს ოთხი.

თავის წერილებში, სხვათა მრავალთა მოსაზრებათა შორის, ბ. ტფილისელმა ეს ოთხი მოსაზრებაც გამოსთქვა. და როდესაც ჩვენ ამაზე პასუხი გავეცით და დავუმტკიცეთ, რომ სახაზინო გლეხის მდგომარეობა მაინცა და მაინც სანატრელი არ არის, ბ. ტფილისელმა ჩვენი სიტყვები იუცხოვა, მე არ მითქომსო, რაშიაც ჯორჯაძე ბრალსა მდებსო და “არავის ნება არა აქვს ჯერ მიკიჟინოს გლეხ-კაცობაზე, ამა და ამ აზრისა ხარო“ (№ 56). ამ სიტყვების შემდეგ, არ ვიცით, ვის ან რას დაუჯეროთ. მაშ, არის თუ არა წოდებათა შორის მოურიგებლობა? ბევრია თუ ცოტა მებატონეების მზგავსი გლეხები? მართლა გააბედნიერა თუ არა ახალმა კანონმა ჩვენი გლეხობა? ყველა ამაზე ბ. ტფილისელმა ჩამოაგდო ლაპარაკი, ეხლა კი იძახის, ჯერ კიდევ გლეხობაზე არა მითქვამს-რაო. მართლაც და მრავალსიტყვაობის ჟინი—საოცარი ჟინი ყოფილა!

მიუხედავად ყველა ამისა, საკამათო საგანი მაინც ფრიად საინტერესოა. ბ ტფილისელი ჩვენ მიერ მოყვანილ ციფირებს უარ-ჰყოფს. ჯორჯაძემ, ჩვეულებისამებრ, განგებ დაამახინჯა და გაასხვაფერა ციფირებიო. გადავშალოთ „Податное обложеніе госуд. крест. зак. края“ და საქმის ნამდვილი ვითარება გავიგოთ. 139 გვერდზე სწერია: Размѣръ окладовъ по губерніямъ и уѣздамъ.

Губерніи.	Число окладовъ.	Велич. окл. съ дыма.
Тифлисская	15	отъ—р. 50 к.—8 р. 50 к.
Кутаисская	6	„ 1 р. — 6 „ — „
და სხ.	—	— —

ბ. ტფილისელს სხვაგვარი ციფირები მოჰყავს. მას ორთა შუა რიცხვი აქვს სახეში და ამისათვის ჩემგან მოყვანილ ციფირების გაბათილებისათვის მკითხველს ამ ხასიათის ციფირებზე უთითებს. ამ ორთა შუა რიცხვს როგორც სახელმწიფო, ისე საერო გადასახადის შესახებ გვაჩვენებს. ჩვენ კი ორთა

ფელეტონი

„მოხუცი იზერგილი“

(დასასრული*)

III

ეხლა კი განაგრძო იზერგილამ:

„ძველ დროს ერთი ხალხი თურმე სცხოვრობდა—, სადა სცხოვრობდა, არ ვიცი, ვიცი მხოლოდ, რომ იმათ ბანაკებს სამი მხრით უვალი ტყე ერტყათ და მეოთხე მხრიდან ველი საზღვრავდა. ეს ხალხი მხიარული იყო, ძლიერი და გაბედული,—იგი ბევრს არა თხოულობდა ცხოვრებისაგან... მგონი, ბოშები იყვნენ. ერთხელ ცუდი დრო დაუდგათ. მოვიდნენ საიდღანაც სხვა ტომნი, წინანდელნი შეავიწროეს და ტყის სიღრმეში შერეკეს. ეს ტყე ჭაობებით იყო სავსე და საშინელი სიბნელე მეფობდა მასში, რადგან ტყე ძველი იყო და ხეები ისე მჭიდროთ ჩაგრეხილ-ჩახვეულიყვნენ ერთმანეთში ტოტებით, რომ მზის სხივებიც კი ძლივს გაატანდნენ ხოლმე მათში; მაგრამ როცა კი გაატანდნენ და ჭაობების მყრალ წყალს გაათბობდნენ, ავარდებოდა საშინელი სიმყრალის ბუღი, რომელიც არა ერთს და ორს კაცს ინაცვალებდა ხოლმე. ადამიანნი უზებსავით იხოცებოდნენ. ამ ტყის გაცლან უნდოდათ, მაგრამ უბედურთ ორი გზა ღა ჰქონდათ ხსნისა—ან უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ, სადაც დაუნდობელი, ძლიერი და დაუძინებელი მტერი დახვდებოდათ, ან წინ უნდა წასულიყვნენ, სადაც მდევებსავით წამოჭიმულ ნერგებს საკვირველის ღონით და ძალით ჩაეჭიდათ ერთმანეთისთვის ტოტები და სქელი გველებსავით დაგრეხილ-დაკლაკნული ფესვები ღრმათ ჩაეშვათ ჭაობების მყრალ მიწაში. კლდეებსავით ჩუმად, უნძრევლად იდგნენ ხეები ნაცრის ფერნი დღისით, ღამით, როდესაც აქა-იქ ცეცხლებს დაანთებდნენ, თითქოს უფრო მჭიდროთ ამოეკვროდნენ ერთმანეთს და უფრო შავად და ბნელად გამოჰყავოდნენ. ყოველთვის, დღეც და ღამეც, ჯაჭვის რგოლსავით ერტყათ გარეშემო ბნელი ტყე და თავისუფლების ჩვეულ ხალხს სულსა და გულს უხუთავდა. მაშინ ხომ, როდესაც შემოჰკრავდა ხის წვეროზინებს ქარი და ტყე თითქოს ვიღასაც ემუქრებაო, ყრუდ დაიწყებდა გუგუნს, კაცს ეგონებოდა ვიღასაც მარხავენ და ეს გლოვის ზარი ისმისო. ტყეში შეფარებულნი ძლიერნი იყვნენ, კიდევ შესძლებდნენ შებმას იმ მტერთან, რომლისგანაც ერთხელ დაჯაბნებულნი დარჩნენ, მაგრამ უბედურთ ალთქმანი ჰქონდათ დადებული და მტრებთან ბრძოლაში რომ სულ ერთიანად გაწყვეტილიყვნენ, ხომ ალთქმანიც დაეკარგებოდათ. აი, რა იჭერდა მათ ერთ ადგილს და ტყის ყრუდ ხმაურობის დროს ჭაობების მყრალ ჰაერში რად იხრჩნენ გათენებამდინ და ღრმათ რადა ჰფიქრობდნენ. როცა ცეცხლებს დაანთებდნენ და გარს შემოუსხდებოდნენ და, ცეცხლისაგან გავრცელებული ჩრდილნი საკვირველის სისწრაფით დაიწყებდნენ ხოლმე ხტომას, შეშინებულ ხალხს ეგონი, რაც ტყეში-ჭაობებში ავი სული და ქაჯი ყოფილა, სულ აქ შეკრებილან და გახარებულნი ბუქნას უვლიანო... იხრჩნენ და ჰფიქრობდნენ... ადამიანის სხეულს და ჯანს არც გადაჭარბებული მუშაობა და არც ქალები ისრე არ აჭკნობენ და ასუსტებენ, როგორც შავი და მწარე ფიქრები... ხალხი დასუსტდა ფიქრებისაგან. მათ შორის დაიბადა შიშის ძრწოლა და მათი ოდესღაც ძლიერი ხელები შეჰბოჭა და სულ მთლად შეჰხუთა. ქალებმა მორთეს მოწამლულს ჰაერისაგან დახოცილთა და უბედურებაში მყოფ ქმარშვილის თავზარ-დამცემი ტირილი და ამან ხომ ეს ოდესღაც ძლიერი და შეუდრეკელი ხალხი სულ გაალაჩრა და დასცა სულით. სიმხდალეს ჯერ ჯერობით ჰფარავდნენ, მაგრამ, რაც დრო და ჟამი გადიოდა, სილაჩრისა აღარ სცხვენოდათ და უფრო გაბედულად გამოჰხატავდნენ მას.. უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ წასულიყვნენ თავისს დაუძინებელ მტერთან და ძღვნათ თავიანთი თავისუფლება მიეტანათ.—სიკვდილმა იქამდე შეაშინა ეს უბედურნი, რომ არც ერთი მათგანი ყმად და მონად ცხოვრებას არ დაიზარებდა, ოღონდ სიცოცხლე შეერჩინათ როგორმე... ამ უკანასკნელს სულის კვეთების დროს გამოჩნდა მათი მხსნელი დანკო“.

მოხუცს, როგორც ეტყობოდა, ერთხელ და ორჯერ არ ეამბნა ეს საოცარი ლეგენდარული მოთხრობა დანკოს ცეცხლ მოკიდებული გულის შესახებ. გრძელი ფრაზები წყობისად და დალაგებულნი იბადებოდნენ. მოხუცის ლაპარაკი რაღაც სიმღერას მაგონებდა და მისი ყრუ, მიხრწნილი ხმა აშკარად მიხატავდა იმ ტყის იდუმალს ხმაურობას, სადაც ჭაობების მოწამლულ-მოშხამულ სუნთქვისაგან ეს უბედურნი და ბედისაგან აბუჩად აგდებულნი დღითი დღე იღლიტებოდნენ და სწყდებოდნენ...

— ახალგაზდა და ლამაზი დანკოც იმ ხალხს ეკუთნოდა. ლამაზნი ხომ ყოველთვის გაბედულნი არიან! აი ეს დანკო მიუბრუნდა ამხანაგთ და უთხრა:

— „გზაში გადაღობილი კლდის შეძვრა ცალიერი ფიქრით შეუძლებელია. ვინც ხელს არ მოჰკიდებს რასმე, ვერც ვერაფერს გააკეთებს. ჩვენ ძალასა და ღონეს ტყუილად რადა ვხარჯავთ ფიქრზედ? ავდგეთ და გავიაროთ ტყე. ხომ უნდა ჰქონდეს მას ბოლო—ქვეყნიერებაზედ არაფერია დაუსრულებელი! წავიდეთ, ადექით!...

---

*) იხ. „ცნო. ფურც“. № 1754.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუა რიცხვის ანგარიში არ აღვნიშნეთ იმიტომ, რომ ეს ანგარიში საეჭვო ანგარიშად მიგვაჩნია. ჩვენ ავიღეთ უდიდესი გადასახადი 8 მ. 50 კ. (ტფ. გუბ.) და 6 მან. (ქუთ. გუბ). ეს გადასახადი სინამდვილესთან უფრო ახლო გვეჩვენება, ვიდრე ბ. ტფილისელის ციფირები: 3 მ. 80 კ. (ტფ. გუბ.) და 3 მ. 83 კ. (ქუთ. გუბ.). აი რატომ. ოროთა შუა რიცხვის ანგარიში, ძლიერ საეჭვო ანგარიშია, მეთქი. „По приведеннымъ даннымъ размѣровъ подымнаго оклада селеній и группировки ихъ по эмому признаку еще нельзя съ достаточною вѣрностью уяснить себѣ степень обременительности податями тѣхъ или другихъ уѣздовъ“, სწერია ზემოხსენებულ წიგნში[1]. ეს ერთი. რომ ოროთაშუა რიცხვის ანგარიში ყალბია და სინამდვილეს მოკლებული, შემდეგის ფაქტებიდან მტკიცდება. სოფ. ზემო-ავჭალაში, მაგალითად, გლეხებს არც ერთი მტკაველა სახაზინო მიწა არა ჰქონდათ, თითო კომლი კი ექვს-ექვს მან. სახაზინო გადასახადს იხდიდა[2]. სოფელ კუმისში 15 კომლს არა აქვთ სახაზინო მიწა, მიუხედავად ამისა, ესენი სახაზინო გადასახადს იმოდენას იხდიდნენ (კომლი 4 მ. 50 კ.), რამდენსაც სხვა გლეხები, სახაზინო მიწებზე დაბინავებულნი.. მარტყოფში და ბურდიანში დროებით ვალდებულნი და სახაზინო გლეხები ერთნაირ სახაზინო გადასახადს იხდიდნენ[3]. სოფ. ხორბალოში თითო სახაზინო კომლს აქვს 28 დეს. მიწა, სოფელ ბახტრიონში—11 დეს. ხორბალელი გლეხი იხდის—50 კ., ბახტრიონელი 4 მან. ეს კიდევ არაფერი. ბახტრიონში ციებ-ცხელებისაგან ხალხი ამოწყდა, სულ 18 კომლი-ღა დარჩა და ამ 18 კომლს დახოცილების გადასახადსაც ართმევდნენ.[4] ქუთაისის გუბერნიაში, სოფ. გლოლაში თითო კომლს 136 დეს. მიწა უჭირავს და გადასახადს აძლევს 5 მ., მაშინ როდესაც სოფ. ნიკორწმინდაში თითო კომლს სამჯერ მეტი მიწა უჭირავს (384 დეს.), გადასახადი კი 4 მანეთია. თუ როგორ უთანასწოროდ იყო განაწილებული გადასახადი სოფლებშა შორის, შემდეგ ცხრილიდან სჩანს:

საკომლო გადასახადი 5 მან.	**სახაზინო მიწა თითო კომლზე.**
სოფელ ღებში	0,83 დეს.
„ ჩიორაში	0,93 „
„ ონში	0,09 „
„ სამცისში	0,52 „
„ წესში	0,25 „
საკომ. გად. 4 მან.	
სოფელ სორში	4,40 დეს.
„ აბარში	2,90 „
„ ლიხეტში	3,83 „
„ კაჩაეტში	2,21 „ [5]
„ კვატრუტში	3,60 „

ამ ცნობების შემკრებლის აზრით, „при распредѣленіи подымной подати не было принято никакой опредѣленной системы...[6] вездѣ количество надѣльной земли не только не соотвѣтствуетъ размѣру подымной податной, но, напротивъ, послѣдній, какъ видно изъ приведенныхъ примѣровъ, обратно пропорціоналенъ первому... და აგრეთვე, размѣръ подымной подати въ изслѣдованныхъ селеніяхъ не оправдывается ровно никакими соображеніями и является слѣдствіемъ простой *случайности или же чистѣйшаго произвола*[7]).

აი სწორედ ყველა ეს გვქონდა მხედველობაში და მოვერიდენით იმ ციფირების ამოწერას, რომელთ გამომჟღავნებით ბ. ტფილისელს ამ რიგად თავი მოსწონს. როდესაც სოფლელს, რომელსაც 0,25 დესეტინა მიწა უჭირავს, 5 მანეთს ართმევენ, და ცოცხლად დარჩენილ სოფლელებს გარდაცვალებულ გლეხების გადასახადსაც ართმევენ, იქ ოროთაშუა რიცხვის ანგარიშს არა აქვს ადგილი. იქ არა მარტო ამ ანგარიშს არა აქვს ადგილი, იქ ჩვენი მოყვანილი ციფირებიც (8 მ. 50 და 6 მან) სრულ სიმართლეს არ გვეუბნებიან. გლეხს, რომელსაც არც ერთი ნაჭერი სახაზინო მიწისა არ უჭირავს, 4—5 მანეთიანი გადასახადი (სიმძიმით) 8 მანეთიანსაც უდრის და 10—12 მანეთ. გადასახადსაც.

ბ. ტფილისელმა კი ამ გარემოებას ყური არ ათხოვა და ჩამოამწკრივა მთელი წყობა საეჭვო ციფირებისა და რა ფასი აქვს ამ ციფირებს, ამაზე ხმა არ ამოუღია. წინდაწინვე ვიცით, ამ განმარტებისათვის როგორ აპილპილდება ბ. ტფილისელი: ამაზედ ლაპარაკი მინდოდა, მაგრამ ჯორჯაძემ არ დამაცალაო. მე დალაგებით და არა აჩქარებით მიყვარს ლაპარაკიო. სოფლის იდილიაზე ხომ ვსთქვი ორიოდე სიტყვა, ეხლა სოფლელების ფსიხოლოგიას მოგიყვებითო. შემდეგ ამისა სხვა კითხვებსაც შევეხებიო.[*] და სანამ კი კარგს იზამდა ბ. ჯორჯაძე, რომ გამოერკვია, „რა გზით და საშუალებით შეიძლება გლეხკაცობის მდგომარეობის გაუმჯობესობა, წოდებათა შორის ეკონომიურ უთანასწორობის მოსპობა და ამით... დაემყარებინა მოძმეთა შორის სანატრელი დამოკიდებულებაო“ („ივერია“ № 57). როგორც ჰხედავთ, ბ. ტფილისელს „губа не дура“ ჰქონია. მიკვირს, რატომ არა მთხოვს ბ. ტფილისელი ბარემ ინგლის-იაპონიის ხელშეკრულებაზე და სამ სახელმწიფოთა კავშირის პოლიტიკაზედაც ლაპარაკი ჩამოგვეგდო. ამასობაში ბ. ტფილისელიც საბოლოვოდ თავის შეხედულებას გლეხთა მდგომარეობაზე გამოსთქვამდა. მაგრამ, ესეც კი არის მისაღები, რომ ბ. ტფილისელი საქმიანი კაცია, ჩვენ კი ყალბი „ცნობების გასასწორებლად დროს ვაკარგვინებთ“. ყველა ამისათვის, ჩვენი „ოინების“ შესახებ ერთ წერილსაც დავსტამბავთ და შემდეგ ამისა დავდუმდებით და დიდის მოთმინებით მოვუცდით ბ. ტფილისელის წერილის დაბოლოვებას. იქნება მართლა ისეთი რამა სთქვას, რომ არამც თუ მკითხველი საზოგადოება გააკვირვოს, თვითონაც გაიოცოს.

არჩილ ჯორჯაძე

---

[1] გვერდი 143.

[2] გვერდი 154.

[3] გვერდი 155.

[4] გვერდი 156.

[5] გვერდი 159.

[6] გვერდი 156.

[7] გვერდი 159.

[*] თავისი დაპირება აასრულა და მართლაც ბევრ რამეზე, გარდა ჩვენ მიერ აღძრულ კითხვებისა, ჩამოაგდო ლაპარაკი.

საზღვარ-გარედ

სამხრეთ-აფრიკა. ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ რუსულ გაზეთებს: „ირწმუნებიან, რომ მალე გამოაქვეყნებენ პროკლამაციას ზავის ჩამოგდებაზე. ინგლისის მხრივ წარმომადგენლად იქნება მარტო უოლსლეი. კიტჩენერი მხოლოდ ხელს მოაწერს დროებით ზავის პირობებს. გუშინ სოლსბერის ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა მეფესთან.

კიტჩენერს დეპეშა მოუვიდა უოლსლეის მოსვლამდე დაამზადოს ნიადაგი მოლაპარაკების გასამართავად. შალკ-ბურგერი და შტეინი თხოულობენ სრულს ავტონომიას, საერთო ამნისტიას, წაღებულ ქონების დაბრუნებას და ფერმების აღდგენას. კრიუგერს ცნობები მოსდის მოლაპარაკების შესახებ. ლორდ უოლსლეი ეცდება პირადად მოელაპარაკოს ბურების გენერლებს“.

შეუფარდოთ ამ ცნობებს ახალშენების ჯარის ერთის აფიცრის წერილი, რომელიც დაბეჭდილია ინგლისურ გაზეთ „ტრეთ“-ში: „მე სწორედ არ მესმის, თუ რაზედ ჰფიქრობს ჩვენი მთავრობა. სამხრეთ აფრიკაში მოდის მატარებლები და მოჰყავს ცხენები, რომელნიც მხოლოდ სასაკლაოსთვის ვარგან, და ბავშვები. საკლავი საქონელი ვითომ ცხენოსან ჯარისათვის არის დანიშნული, ბავშვები კი უნდა წარმოადგენდნენ მეომრებს, რომელთაც უნდა შეავსონ ჩვენი შემცირებული ჯარი. 280 ცხენიდან, რომელნიც ერთმა მატარებელმა მოგვიყვანა, 72 ვაგონში დაგვხვდა მკვდარი და 49 იქვე მოვკალით, ჩვენვე. რაც შეეხება ახალგაზრდა რეკრუტებს, ესენი საშინელ სურათს წარმოადგენენ. მე მოვალე გიყავი ამათთვის ცხენოსნობა მესწავლებინა და სწორედ მებრალებოდნენ საწყლები: შიმშილისაგან დასუსტებულთა და დაუძლურებულთ ძალიან ცოტა სამსახურის გაწევა შეეძლოთ სამშობლოსათვის; ისინი გამოუგზავნიათ აქ ბურების „ზარბაზნის ხორცად“ ან დეზინტერიისათვის, რომელიც ინდოეთის შავ-ჭირზე უფრო მეტ მუსრს ავლებს ხალხს. 720 ბავშვებ შორის (მე სხვა სახელს ვერ ვუწოდებ მათ) არც ერთმა არ იცოდა ცხენზე ჯდომა, თუმცა ისინი ცხენოსან ჯარში შესასვლელად იყვნენ მოსული, რომ დღეში ხუთი შილინგი მიეღოთ. თოფის ხმარებაც იშვიათად იციან. ეს ყველა სასაცილო იქნებოდა, რომ ამ საწყლებს აუცილებლად სიკვდილი ან დასახიჩრება არ მოელოდეთ. ამგვარ რეკრუტების გამოგზავნა ჩვენ ჯარს ძალას არ შემატებს. და სწორედ ამით აიხსნება, რომ, მიუხედავათ დადებულ პირობებისა, ჩვენ შევაიარაღეთ ადგილობრივი მცხოვრებნი—ბაზუტოსები, რომელთა რიცხვი 10,000-ზე მეტია. ბლოკჰაუზებში ხომ რამდენიც თეთრი, იმდენი შავ-კანიაში ჯარისკაცები გვყავს. ბურებმაც რომ მოგვბაძონ, ვინ იცის, რა საშინელება არ მოხდება სამხრეთ-აფრიკაში“.

თუ ბურები მართლა მარტო სრულ-ავტონომიას თხულობენ (და არა სრულს დამოუკიდებლობას), თუ მართლა ინგლისს ასე უჭირს ჯარის-კაცების და ცხენების შოვნა, მაშინ ზავის ჩამოგდების იმედიც არის. ინგლისის დიდებული ერი მალე მოირჩენს იმ იარას, რომელიც სამხრეთ-აფრიკის საქმეებმა მიაყენეს, მოიპოვებს საერთაშორისო დამოკიდებულებებში ძველებურ ძლიერ გავლენას და მეტის რიხით გადაეღობება წინ მეტოქეობის ცოტა არ იყოს თავგასულ პოლიტიკას. გამარჯვებული იქნება ის პრინციპიც, რომლისთვისაც ბურების პატარა ერმა ასეთის საოცარის თავგამოდებით გასწირა თავი.

ინგლისი. სესილ როდსის სიკვდილმა დიდი მღელვარება გამოიწვია ფინანსიურ და სხვა სფერებში. შესანიშნავ ინგლისელს სახელმწიფო ხარჯით დაასაფლავებენ.

✿ თუ ფრანგულ გაზეთებს დავუჯერეთ, ირლანდიაში მეტად უნდა გაძლიერებულიყოს საფრანგეთისა და ირლანდიის დაახლოებისაკენ მიმართული მოძრაობა. მოძრაობას მოთავეობს ცნობილი ირლანდიელი ქალი მოდ-გონი. მოდ-გონს გაუმართავს მანიფესტაციები სკიბერლინში, ლიმერიკში და კორკში. ასეთი მოძრაობა და გატაცება მხოლოდ ო'კონელისა და პარნელის პატივსაცემლად თუ გამართულა. ირლანდიის, საფრანგეთის და ტრანსვაალის დროშებს დააფრიალებდა თურმე ხალხი ქუჩებში, მღეროდა მარსელიეზას და გაიძახოდა—„გაუმარჯოს ბურებს, გაუმარჯოს საფრანგეთს, გაუმარჯოს მოდ-გონს“ ო. გაბრაზებული ინგლისელები ბევრს სცდილან ხელი შეეშალათ მანიფესტანტებისათვის, მაგრამ ვერა გაუწყვიათ რა.

ასეთის მანიფესტაციებისათვის ინგლისის კანონი არ სჯის „დამნაშავეთ“.

საფრანგეთი. სენატის იმ კომისიაში, რომელსაც მინდობილი ჰქონდა პალატის მიერ ეხლახან მიღებულ პროექტის განხილვა, ცხრა წევრიდან რვა წინააღმდეგი ყოფილა დეპუტატობის ექვს წლამდე გაგრძელებისა. გარდა ამისა, ფრანგული გაზეთები იტყობინებიან, რომ აღარც მთავრობაა მაინცა და მაინც მოწადინებული ეს პროექტი გაიყვანოს. ამ დღეებში მინისტრებს თათბირი ჰქონდათ (ვალდეკ-რუსოც დასწრო) და გადუწყვეტიათ გამოაცხადონ სენატში, რომ იგი თანაუგრძნობს პურკერის წინადადებას, მაგრამ რადგან პარლამენტის სესია თავდება, ამიტომ წინააღმდეგი არ იქნება, თუ ამ პროექტის განხილვას გადასდებენ.

ეს ნიშნავს იმას, რომ ეს პროექტი, რომელიც ასე არ მოსწონს საფრანგეთის დემოკრატიას, მიღებულ არ იქნება და პარლამენტის ვადა ისევ ოთხი წლიწადი დარჩება.

შეხედეს დანკოს და დარწმუნდნენ, რომ იგი ერთი[უკეთესთაგანი იყო—მის ბრწყინვალე თვალთაგან ძალა დ გამბედაობა გამოიჭვრიტებოდა.

— „აბა, მაშ წაგვიყვანე!“ მიჰმართეს მას ამხანაგებმა.

— მაშინ ის გაუძღვა წინ და წაიყვანა...

მოხუცებული გაჩუმდა და ველს გახედა, საიდამაც ბნელი ჯერ ისევ შავად გამოიყურებოდა. შორს, სადღაც გაიელვებდნენ დრო გამოშვებით ცისფერი ნაპერწკლები და ისევ ჩაჰქრებოდნენ ხოლმე. იმ ღრმა, უკუნეთ სიბნელეში ისინი ზეცის ყვავილებს მომაგონებდნენ, რომელნიც რაღაც განგებით მხოლოდ ერთის წუთით აჰყვავდებოდნენ და იმწამსვე დასჭკნებოდნენ ხოლმე.

— გაუძღვა დანკო. ამხანაგნი ენდვნენ და გაბედულად გაუდგნენ უცნობ გზას, მაგრამ ძნელი იყო ამ ტყეში მგზავრობა. ირგვლივ სიბნელე მეფობდა, დამპალ აყროლებულ ჭაობებს დაეღოთ თავისი გაუმაძღარი ხახა და ჰყლაპავდნენ დაუნდობლივ ყველას, ვინც კი გაუფთხილებლივ გადასდგამდა მათში ფეხს. დიდი, ას წლოვანი ხეები შეზღუდულიყვნენ და მაგარ, გადუვალ კლდესავით გადაჰღობებოდნენ მათ გზაში. მათი მძლავრი ტოტები გადასულიყვნენ ერთმანეთში და ფესვები გველებსავით გადახიდ გადმოხიდულიყვნენ გზაში. ყოველი ნაბიჯი, ყოველი მოძრაობა ბევრს ოფლს და სისხლს თხოულობდა უბედური ხალხისაგან. კაი ხანი იარეს.... ტყე თან-და-თან უფრო ხშირდებოდა და მათ კი ღონე აკლდებოდათ! ხალხი დასუსტდა, გამოელია ძალა და დაჰკარგა უკეთეს მომავალზედ იმედები. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ხშირად ისმოდა ხალხში საყვედურები და შეკავებული ბრაზი; ყველას ის უკვირდა—ამ გამოუცდელმა ახალგაზდამ როგორ შეგვაცდინა და ამისთანა მგზავრობა როგორ გვაკისრაო. ის-კი მაინც მხიარული, გულ-შეუდრეკელი იყო და წინ მიუძღოდა სულით დაცემულ ამხანაგებსა.

—ერთ დღეს დაიწყო საშინელი ჰექა ქუხილი, ელვა და კოკიპირული წვიმა წამოვიდა—ტყემ საზარელი იდუმალი ჩურჩული მორთო. ტყეში ისე ჩამობნელდა, რომ კაცს ეგონებოდა, რაც ქვეყანაზედ ღამე ყოფილა ყველა ერთად შეკრებილა აქ და ისე შექმნილა ეს წყვდიადიო. პატარა ადამიანები მდევებსავით წამოჭიმულ ხეებში ზლაზვნით მიდიოდნენ. ხან დაზმით დაიჭექებდა, ერთს საშინლად გაილვებდა და ღამის ნიავს ცივი ცისფერი სინათლე გააპობდა. ამ დროს გაშმაგებული ხეები მოჰყვებოდნენ ჰრაჰუნს და ბრაზმორეულნი შიშის მომგვრელ ღმუილით რაღაც საზარელ სიმღერას მორთავდნენ ხოლმე. ყველა ეს, ისედაც მისუსტებულ ხალხს, შიშის ძრწოლასა ჰგვრიდა და გზის სიძნელეს უორკეცებდა. ელვით განათებული ხეები რაღაც ფანტასტიურ ცხოველებს წააგავდნენ, რომელთაც უსწორ-მასწორო ხელები გაეშვირათ, ერთმანეთს ჩაჰბღაუჭებოდნენ და ამ გვარათ ბნელაში მიმავალ ხალხს გზას ულობავდნენ; ტოტებს შორის მომწყვდეულ სიბნელიდან კი რაღაც ყინულსავით ცივი და საშინელი გამოიჭვრიტებოდა. ადვილი არ იყო ეს გზა და მითი მიმავალი დაუძლურებული ხალხი სულით დაეცა. მათ რცხვენოდათ თვისი სიმხდალე—სილაჩრის გამოჩენა და ბრაზ—მორეულნი თვის წინამძღოლ დანკოს მივარდებოდნენ ხოლმე. ამ დღე საყვედურის ხმა გაისმოდა და დიდი და პატარა ეკითხებოდა მას:

—თუ მეთაურობის თავიც არა გქონდა, რად აიღე ჩვენი ცოდვა და რად წამოგვიყვანეო? მოქანცულნი და გაცოფებულნი ერთ დღეს გაჩერდნენ მთრთოლვარე წყვდიადში და უთხრეს დანკოს:

— შენ ულირსი და მავნე პირი ხარ ჩვენთვის—ეუბნებოდნენ მას.—შენ გვაცდინე, წამოგვიყვანე და ამისთანა უვალ ტყეს შეგვაბრძოლე. ამ შეცდომისათვის შენ უნდა მოჰკვდე ეხლა!

ელვანი და ქუხილნი დაემოწმნენ ამ საშინელ გადაწყვეტილებას.

— თქვენ მითხარით „წაგვიყვანეო“ და მეც წამოგიყვანეთ!—შეჰყვირა დანკომ და განრისხებულ ამხანაგთ შეუშვირა ვაჟკაცური გული. იმის სამყოფი ვაჟკაცობა, რომ თქვენ წამომეყვანეთ, კიდევ მოიძებნებოდა ჩემში და იმიტომ არ გითხარით უარი. თქვენ-ღა? თქვენ რაღა ჰქენით უბედურებისაგან გამოსასვლელად? თქვენ მხოლოდ ცხვრის ფარასავით მომდევდით და ამოდენა გზის გასავლელად საჭირო მოთმენაც კი არ გეყოთ!

ამ სიტყვებმა უფრო გააშმაგეს დანკოს ამხანაგები.

—„უნდა მოჰკვდე, უნდა მოჰკვდე“! ღრიალებდნენ ისინი.

ტყე კი ისევ ღმუოდა, თითქოს ბანს აძლევს იმათ ღრიალსაო, და ელვა წყვდიადს არღვევდა. დანკო შეჰყურებდა მათ, ვისთვისაც ამოდენი ვაი-ვაგლახი გამოეარა და ჰხედავდა, რომ სუყველანი გამხეცებულიყვნენ და დაეკარგათ კაცური გრძნობანი. ბევრნი ეხვივნენ გარშემო, მაგრამ არც ერთს მათგანს პატიოსნება არ ეტყობოდა სახეზე და მათგან კეთილის მოლოდინი არ შეიძლებოდა. მაშინ მასაც აუდუღდა ბრაზით ნაღველი, მაგრამ ხალხის სიბრალულით მალე ჩაუქრა. დანკოს წრფელი სიყვარულით უყვარდა ეს ხალხი და კარგათ ჰხედავდა, რომ უიმისოდ სულ მთლად დაიღუპებოდა იგი. მაშინ ამ უბედური ხალხის დახსნის სურვილმა ცეცხლი წაუკიდა მის, ისედაც ჩაგრულს, გულს და იმის ღრმა თვალებიდან ამ ძლიერის ცეცხლის შუქმა გამოანათა... თანამგზავრებმა, დაინახეს რა ეს საოცრად ბრჭყვიალა თვალები, ეგონათ ბრაზი მოერია დანკოს

ავსტრ-ჰუნგრეთი. როგორც ვიცით, პარლამენტის სააღდგომო ვკაციების წინ დიდი შეტაკება და განხეთქილება მოხდა რეიხსრატში. ბეგრმა ეს მეტად ცუდ ნიშნად მიიღო და კერბერს სამსახურიდან გადაყენებას უწინასწარმეტყველებენ. მაგრამ ბევრს კიდევ იმედი აქვს, რომ ამ დღესასწაულებზე აღშფოთებული დეპუტატები დამშვიდდებიან და ხერხიანი კერბერი კიდევ შესძლებს პარტიების იმდენად შეთანხმებას, რომ პარლამენტი ისევ შესძლებს განაგრძოს მუშაობა.

„რაც უნდა იყოსო, ამბობს „რუსსკია ვედომოსტი“, მომხდარ ეპიზოდიდან ის გერმანელებისათვის არა სასიამოვნო უეჭველი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთო, რომ ავსტრიელი სლავიანები საკმაოდ ძლიერები არიან და მიტომ შეირჩენენ კიდეც იმ მცირე უფლებებს, რომელნიც მათ აქვთ“. და ეს „მცირე უფლება“ კი იმას ნიშნავს, რომ ყველაზედ სუსტ რუსინებსაც (პოლონელებზე და ჩეხებზე ნურას ვიტყვით) კი, როგორც წინად გვქონდა მოთხრობილი, სრული შეძლება აქვთ ეროვნულ სკოლაში მიიღონ განათლება, იყოლიონ თავიანთ ინტერესების წარმომადგენელი და დამცველი პარლამენტში და სამინისტროებში, საჯაროდ უშიშრად ილაპარაკონ თავიანთ გაჭირვებაზე და ასევე თამამად და უშიშრად ეცადონ ამ გაჭირვებიდან თავის დახსნას.

ახალი ამბავი

◆ მთავარმართებლისაგან გამოცემულის სავალდებულო დადგენილებათა ძალით, ტფილისის პოლიცმეისტერმა აუწყა ყველა ბოქაულებს, ნება არ მისცენ ხალხს ქალაქის განაპირას **შეკრებისა და ჭიდაობის გამართვისა.** ესევე სთხოვა ბ. ტფილისის მაზრის უფროსს, ზომები მიიღონ ხალხი არ იკრიბებოდეს ქალაქს ახლო.

◆ ქალაქის შუამდგომლობის გამო, **კავკასიის მთავარმართებელმა ნება დართო,** ალექსანდრეს ბაღში, ქვემო ნაწილში, წიგნების მაღაზიებს მეორე სართული დაადგან, რომელშიაც უნდა მოთავსდეს ქალაქის წიგნთ-საცავი პუშკინის სახელობაზე.

◆ მოკლე ხანში ვლადიკავკ. რკინის გზის მმართველობა შეუდგება **შავი-ზღვის ნაპირა რკინის გზის** კეთებას.

◆ ამ დღეებში მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის რწმუნებულმა გამოუგზავნა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს 1200 მან. შემწეობა ტფილისის საბაღოსნო სკოლასთან არსებულის ბაღის შესანახადა და გასაშენებლად.

◆ კვირას ნაძალადევში აკურთხეს და გახსნეს ქალების **საკვირაო სკოლა.** სკოლაში ამ თავიდანვე სიარული დაიწყო 70 მოსწავლემ. ვუსურვებთ საქმის მეთაურთ სრულს გამარჯვებას.

◆ ტფილისის **დურგალთა ამხანაგობის** „შრომის“ წევრებს კრება ჰქონდათ კვირას 17 მარტს; კრებას საჭიროდ დაუნახავს საზოგადოების წევრთა უკანასკნელ კრების გარდაწყვეტილების გაუქმება და გარდაუწყვეტია 31 მარტისათვის დაინიშნოს მეორე კრება გამგეობის წევრების ამოსარჩევად, წასულ წლის ანგარიშის განსახილველად და მიმდინარე წლის შემოსავალ გასავლის განსახილველ დასამტკიცებლად.

◆ საქართველოს ეგზარხოსს, მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესს ალექსის, განზრახვა აქვს აღძრას შუამდგომლობა უწმინდესის სინოდის წინაშე, ნება დაერთოს ტფილისის სასულიერო სემინარიის მმართველობას, **პირველ კლასში მისაღებად** გამოცდა სასულიერო სასწავლებლებში კურს დამთავრებულთა მოახდინონ ხოლმე მაისის გასულს და არა აგვისტოში, როგორც აქამდე იყო. ამ გარემოების წყალობით, სემინარიის პირველს კლასში მომავალში უფრო ბევრს მოწაფე მიიღებენ, ვიდრე აქამდის, ამასთანავე აცილებული იქნება შეგირდების დალალვა-დაქანცვა დათხოვნილებში გამოსაცდელი ეგზამენების გამო სემინარიაში შესასვლელად. („კავკ.“).

◆ საქართველოს ეგზარხოსის განკარგულებით, 18 მარტს თელავში გაიგზავნა ტფ. სასულიერო სემინარიის ახლად დანიშნული ინსპექტორი ბ. **დობრონრავოვი,** რათა დაწვრილებით რევიზია მოახდინოს, როგორ არის მოწყობილი თელავის სასულიერო სასწავლებელში სწავლა-განათლების საქმე. სემინარიის ინსპექტორის თანამდებობას დროებით აასრულებს სემინარიის მასწავლებელი მახათაძე.

◆ **გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს** ორმოცი წლის ეპისკოპოსად ყოფნის აღსანიშნავად ტფილისის სასულიერო სემინარიის მმართველობამ დაადგინა, სემინარიის დარბაზი დაამშვენოს ყოვლად სამღვდელოს სურათით, როგორც ამ სემინარიის უძველესის,—1845 წლის—მოწაფისა.

◆ 19 თიბათვეს შესრულდება თხუთმეტი წელიწადი, რაც ბერად ეკურთხა ყოვლად სიმღვდელო **ლეონიდი, ეპისკოპოსი იმერეთისა** („კავკ.“).

◆ ტფილისის გუბერნატორმა ცირკულიარით მიმართა ტფილისის პოლიცმეისტერს და მაზრის უფროსებს, მიაქციონ ყურადღება **სამსახურის გამო მიწერ-მოწერას,** რაც შეიძლება, მოკლედ და უბრალოდ იყოს, მხოლოდ აზრიანად. ამასთანავე ძველი გაცვეთილი ფრაზები „მაქვს პატივი მოგახსენოთ, მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ“ და სხვა ამ გვარები აღარ იხმარონ და პირდაპირ სწერონ—გაუწყებთ, წარმოგიდგენთ და სხვა. გარდა ამისა, გუბერნატორისადმი მიწერისთვის მაინცა და მაინც საჭირო არ არის ესა თუ ის ბლანკი ანუ დიდი ქაღალდი თუ პატარა, ოღონდ საქმე კი საფუძვლიანად იყოს მოხერხებული.

◆ ხორცის დუქნის პატრონებმა განაცხადეს ქალაქის გამგეობაში, რომ თითონ ისინი ყიდულობენ ყასბებისაგან გირვანქა ხორცს 11 კაპ. და 12 კაპ. გაყიდვა იმათ ხელს არ აძლევს, რადგანაც დუქნის ქირას და ხარჯს ვერ აუვლენ. ამისთვის სთხოვენ ქალაქს, რომ **საკლავი იმან აძლიოს** და მაშინ გაჰყიდიან დაწესებულის ნიხრით, ოღონდ ხარჯი და იმათი შრომა კი დაიფაროს.

◆ გუშინ ქალაქის თავის მოადგილემ შესტაკოვმა წარუდგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად საბჭოსაგან ამორჩეული კომისიის წევრები, რომელთაც უნდა გადაათვალიერონ და შეამოწმონ **ამომრჩეველთა სიები** ქალაქის ხმოსანთა მომავალის არჩევნების გამო.

◆ ამ დღეებში სხდომა ჰქონდა ცხენის რკინის გზის მეთვალყურე კომისიას. სხდომაზე, სხვათა შორის, თავმჯდომარემ აღძრა კითხვა **პაპიროზის მოწევის** შესახებ ცხენის გზის ვაგონებში. კომისია თანაგრძნობით მიეგება ამ კითხვას და დაადგინა: აეკრძალოთ თუთუნის წევა დახურულ ვაგონებში; ახდილ ვაგონებში ნება მიეცეთ მოწევისა, მხოლოდ ვაგონის ბალკონებზე და ბოლო სკამზე.

◆ **ალაგირის ქართველების** ბიბლიოთეკისთვის მივიღეთ თომა ნასიძესაგან თერთმეტი სხვა-და-სხვა ქართული წიგნები სულ 2 მ. 40 კ. ღირებული.

◆ მოგვივიდა **ახალი ქართული წიგნი** „საქართველოს დედა—ქალაქი ტფილისი“ მოსე ჯანაშვილისა; წიგნში 191 გვერდია და ღირს ათ შაურად.

◆ მიმდინარე წლის თებერვლის განმავლობაში გორის მაზრის სხვა-და-სხვა სოფლებში გავრცელებული ყოფილა სხვა-და-სხვა გადამდები ავადმყოფობა, მაგალ. ყვავილი, ხუნაგი და ყელ-ჭირვება. აღნიშნულ თვემდე ყვავილით ავად-ყოფილა მთელს მაზრაში 17 კაცი; თებერვლის განმავლობაში ავად-გამხდარა კიდევ 32, მორჩენილა 27 და გარდაცვლილა 13 კაცი, ასე, რომ ამჟამად 9 კაცია ავად. სხვა სენით ავად ყოფილა 5 კაცი.

◆ ტფ. მერვე საპოლიციო ნაწილში იმდენად დაძველებულა თუმანოვის სახლი, რომ შიგ ცხოვრება მეტად საშიში გამხდარა. ქალაქის არხიტექტორს ეს სახლი შეუმოწმებია და უთქვამს, რაც შეიძლება მალე დაიცალოს სახლი, თორემ შესაძლებელია რაიმე უბედურება დატრიალდესო.

ქუთაისის ახალი ამბები

◡◡ ქუთაისში ელექტრონულის ტრამვაის გაკეთების კონცესია შეიძინა ინჟ. მიხაილოვისაგან წყლის მილის ამხანაგობამ, შემდეგის პირობებით: კონცესიის გადაცემისთანავე ინჟ. მიხაილოვმა უნდა მიიღოს ამხანაგობისაგან ნაღდ ფულად 20 ათასი მან., შემდეგ პაიებით—25 ათასი მ., რომლიდან 15 ათასი მან. პაი კონცესიის გადაცემისთანავე, ხოლო დანარჩენი 10 ათასი მან. პაი მაშინ, როდესაც ტრამვაი მისცემს ამხანაგობას 10% სარგებელს თანხაზე. ამასთანავე 10 ათასი მანეთი ბე, რომელიც ბ. მიხაილოვმა წარუდგინა ქალაქის მმართველობას, გადადის ამხანაგობის საკუთრებაში, წყლის მილისა და ტრამვაის გამგეობის თავჯდომარედ არჩეულ იქმნა გ. ფ. ზდანოვიჩი, გამგეობის წევრებად არიან: ა. ს. ბაბოვი, ს. თ. ჭრელაშვილი, თავ. რ. ამირეჯიბი და თავ. გრ. დიასამიძე; ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებად—ნ. ი. თამამშევი, ინჟ. ბეკზადოვი და ბ. კოკოჩაშვილი.

∽ დიდ გაჭირვებაში არიან ქუთაისის მკვიდრნი ჩარჩების თავ-გასულობით. ბაზარი იმათ ხელშია, რადგან არავითარი ზედამხედველობა იქ არ არის, რადგან ზედამხედველებს აქ იშვიათად ნახავს კაცი. ჯერ არის და—სანამ ბაზარში მოხვდებოდეს სოფლელისაგან შემოტანილი ხორაგეულობა, ქალაქის შემოსავალში ჩასაფრებული ჩარჩები უხვდება და იქვე ართმევს და, თუ ბაზარს მოაღწია ხორაგმა, ახლა აქაურ უწესოებას ვერ გადურჩა აქაური მკვიდრი.

საჭიროა, ქალაქის გამგეობამ მეტი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და ჩარჩების ასალაგმავი ღონისძიება დროზე იხმაროს.

∽ გაზ. „პეტ. ვედომოსტ“-ს ქუთაისიდან სწერენ: „სამზრუნველოს შრომის მოყვარეობის სახლისას შემთხვევა ეძლევა თავისი კეთილ ნაყოფიერი მოღვაწეობა ჩვენ შორეულ ქალაქსაც მოახმაროს. ღარიბ ბავშვთა სამზრუნველო ქუთაისში ცდილობს თავშესაფარი-სკოლა გამართოს და სხვა-და-სხვა ხელოსნობაც შემოიღოს ამ სკოლა-თავშესაფარში. ამისათვის ეს სამზრუნველო სთხოვს შრომის მოყვარეობის სამზრუნველოს პეტერბურგში მუდმივად ფულით შემწეობას განზრახულის სკოლა-თავშესაფრის არსებობისათვის, რადგან ეს სკოლა, თავის ხასიათით, თითქმის ისეთივე იქნება, როგორიც არის ბავშვებისათვის შრომის მოყვარეობის სახლი. ჩვენა გვგონია, ზემოხსენებულის სამზრუნველოს კომიტეტი შეიწყნარებს აქაურ საზოგადოების სათხოვარს, რადგან ბავშვთა გაჭირვება ქუთაისში მეტად დიდია და საზოგადოებას-კი თანხა მეტად მცირე აქვს.

პეტერბურგის სამზრუნველოს ყურადღების მიქცევა ამ შორეულ ადგილს იმიტომაცაა სასურველი, რომ ეს იქნება პირველი კეთილ-ნაყოფიერი მაგალითი ცენტრალურ საქველ-მოქმედო საზოგადოების დახმარება-მოღვაწეობისა იმ ქალაქში, სადაც მკვიდრნი თითქმის ყველანი ქართველები არიან“.

რუსეთის ქრონიკა

∝ გზათა სამინისტროს წარედგინა შუამდგომლობა, რომ მასწავლებელთ (კაცებსა და ქალებს) რკინის გზებზე ნახევარ ფასად შეეძლოთ მოგზაურობა. ამ შუამდგომლობას სამინისტრო მოკლე ხანში განიხილავს.

∝ შინა-მრეწველობის მოღვაწეთა კრებამ პეტერბურგში დაადგინა იშუამდგომლოს, რომ სამეურნეო საზოგადოებათ ნება მიეცეს დააარსონ ხოლმე, თუ საჭიროდ დაინახავენ, შინა მრეწველობის სამზრუნველოები. იმავე კრებამ დადგინა იშუამდგომლოს, რომ რუ-

---

და საჩხუბრად მოგვარდებაო, შემოეხვივნენ გარშემო და ყოველი მათგანი მგელსავით კბილებ დაღრჯენილი შეჰყურებდა და გაფატრას ჰლამოდა. დანკო მიუხვდა მათ გულის ნადებს და უფრო გაუძლიერდა გულში ცეცხლი. მათმა უნდობლობამ სევდა დაჰბადა მასში.

ტყე კი ისევ თავისს სამგლოვიარო სიმღერას მღეროდა, ზეცაში საშინლად ჰქუხდა და სწვიმდა...

— რა ვქნა, რითი ვემსახურო მე ჩემ ხალხს!?—ქუხილზედ უფრო მედგრად, უფრო ძლიერად შეჰკივლა დანკომ ამ შეკივლებასთან ერთად საშინელის ძალით და სისწრაფით გაიგლიჯა მან მკერდი, ამოიგლიჯა გული და თავზეით აიმაღლა...

დანკოს ცეცხლ-მოკიდებული გული მზეზედ უფრო ძლიერად ანათებდა. ტყე, ხალხის სიყვარულის დიადის ჩირაღდნით განათებული, გაჩუმდა; წყვდიადმაც ვერ გაუძლო ამ საოცარ სინათლეს, მსწრაფლ გაიფანტა იგი და ჩაინთქა დამპალ ჭაობში. განცვიფრებულნი მგზავრნი გაშეშდნენ ერთ ადგილას და სასწაულთ-მოქმედებას შეჰყურებდნენ.

— მომყევით!. შეჰკივლა დანკომ და ისევ წინამძღოლის ადგილი დაიჭირა. ხელში-კი ისევ ეჭირა ცეცხლით აღგზნებული გული და თავის თანამოძმეებს მითი უნათებდა უვალს გზას.

ცნობის მოყვარეობით გატაცებულნი და ამ საოცარის სანახაობით მოხიბლულნი მგზავრნი ისევ გაჰყვნენ დანკოს. ტყე შეირყა ისევ, ხის მაღალმა ტოტებმა დაიწყეს შრიალი, მაგრამ მათი ხმაურობა ხალხის ფეხის ხმამ დაახშო. ეხლაც იღუპებოდა ხალხი, ეხლაც ბევრი იმსხვერპლა მყრალმა ჭაობმა, მაგრამ აღარ ისმოდა მათში არც კვნესა და არც ტირილი. დანკო წინ მიუძღოდა და მისი ჩირაღდნათ გადახატული გული ისევ ანათებდა გარე მიდამოს.

უცბად გაიხსნა ტყე, გაიხსნა და უკან ჩამორჩათ მათ ხშირი მუნჯი და ბნელი ტყე. დანკო და მისი თანამგზავრნი-კი მზის სხივებით დაბადებულ სინათლეში ჩაინთქნენ. ტყის სიღრმიდამ ჰქა-ქუხილის და ქარიშხალის ხმა მოისმოდა... აქ კი მზე სასიამოთ ანათებდა და ათბობდა ყოველ არსებას; მინდორი ნეტარებით ჰსუნთქავდა, მობიბინე ბალახ-ბულახი წვიმისაგან შეყრილ მარგალიტებით ბრწყინავდა და ტკბილად მოდუდუნე მდინარე ოქროს ფრად მოელვარებდა... საღამო იყო და ჩამავალი მზის სხივებისაგან მდინარე წითლად მოსჩანდა, ისე წითლად, როგორც დანკოს გაფატრულ მკერდიდან წვეთ-წვეთად ჩამონადენი სისხლი...

დანკომ მედიდურად მიმოავლო თვალი უზომო დაუსრულებელ მინდორს, გახარებულმა ერთი კიდევ გადახედა მის წინ გადაშლილ თავისუფალ მხარეს, მხიარულად ჩაიცინა, დავარდა და განუტევა სული.

უკან დარჩენილმა განცვიფრებულმა ხებმა ჩუმი, იდუმალი ჩურჩული მორთეს და დანკოს უმანკო სისხლით მონამულმა ბალახმაც ბანი მისცა მათ.

გახარებულთ, ბედნიერის მომავლის იმედებით გატაცებულ ამხანაგთ ვერ შენიშნის ვერც დანკოს უსულო გვამი და ვერც მის გვერდით, ცეცხლში ჩამწვარი მისი გმირული გული. მხოლოდ, ერთმა ფრთხილმა კაცმა შენიშნა ეს გული და ფეხი დაადგა... მაშინ ეს საოცარი გული ნაპერწკლებათ იქცა, გაიფანტა და ჩაჰქრა...

აი საიდან არიან ის ცის ფერი ნაპერწკლები, ჰქა-ქუხილის წინ რომ გამოჩნდებიან ხოლმე მინდორში!“

⁂

ეხლა, როდესაც მოხუცმა დააბოლოვა თავისი ლამაზი ზღაპარი, ველზეც სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ისიც გაჰკვირდა დანკოს ღონით და გაბედულობითაო, იმ დანკოსი, რომელმაც ხალხისთვის დასწვა თავისი გული, მოჰკვდა და არც არა ითხოვა რა სასყიდლად. მოხუცი ყურძნით სავსე გოდორს მიპყრობოდა და სთვლემდა, მხოლოდ, დრო გამოშვებით შეკრთებოდა და შეინძრეოდა ხოლმე. შევყურებდი და ვფიქრობდი: რამდენი კიდევ სხვა მოგონებაა და ზღაპარია შენს ხსოვნაში მეთქი? ვფიქრობდი დანკოს აღგზნებულს დიადს გულზე და კაცობრიობის ფანტაზიაზე, რომელსაც ამდენი ლამაზი და ღრმა მნიშვნელოვანი ლეგენდა წარმოუშობნია იმ უტყუარი წარსულის შესახებ, როდესაც გმირებიც იყვნენ და მათი ღვაწლიცა სჩანდა და იმ უფერულ დროზე, რომელიც ღარიბია ძლიერი ხალხით, დიადი ისტორიული მოვლენებით და ყინულივით ცივი ურწმუნოებით, დაუჯერებლობით არის მდიდარი,—იმ საბრალო და გლახაკ დროზე, როდესაც ადამიანნი მკვდარი გულით იბადებიან...

ცელქმა ნიავმა ფრთები შემოჰკრა, გაინავარდა და ღრმად დაძინებულ იზერგილას გამხმარი, დამჭკნარი გული გადუღელა. მიუახლოვდი, ფრთხილად დავხურე მისი ნაფლეთ-ნაფლეთად ქცეული ტანთსაცმელი და იქვე, იმის გვერდით წამოვწექ მიწაზედ. გარშემო ბნელოდა და სიჩუმე იყო. ზეცაზედ ღრუბლები ზარმაცად და ზლაზნით მისცურავდნენ... ზღვა ყრუ ხმაურობით სევდასა ჰგვრიდა ადამიანს. იზერგილას ღრმად ეძინა... იქნება არც კი გამოღვიძებოდა სრულიად.

ივ. პოლუმორდვინოვი.

სეთის ჩრდილოეთ—დასავლეთის გუბერნიებში ერობა დაწესდეს.

∝ 3 აპრილს პეტერბურგის საოლქო სასამართლო განიხილავს საქმეს პოლკოვნ. მაქსიმოვისას, რომელსაც ბრალდება უგ. თავ. ვიტგენშტეინის მოკვლა დუელის დროს.

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

ცხრამეტ საქმიდან გუშინ-წინდელ სხდომაზე საბჭომ განიხილა მხოლოდ ხუთი, მაგრამ რა საქმეები! აირჩიეს აუქციონის ზალის გამგის მოადგილე, დაუნიშნეს ორ სტუდენტს—სოსიანცსა და კატანიანცს—ამიროვის სტიპენდია, აირჩიეს ორი კომისია, ერთი—ცეცხლის მქრობელ რაზმის განზრახულ შენობის თვალ-ყურის მდებელი და ერთიც ამომრჩეველთა საბოლოო სიის განმხილველი და დაამტკიცეს საბებიო ინსტიტუტში ორი სტიპენდიის დანიშვნის წესი. „ხანგრძლივი" და „საინტერესო" კამათი პირველად აუქციონის ზალის გამგის მოადგილის ამორჩევამ გამოიწვია და ბოლოს დაადგინეს—მოადგილეს ეძლევა ჯამაგირი, როცა გამგე ვერ ასრულებს თავის თანამდებობას, რისთვისაც გადაიდო ოთხის თვის ჯამაგირი 100 მ., მასვე ეძლევა 2 პროცენტი შემოსავლისა; დაინიშნოს ამ ახალ თანამდებობაზე ბ. აპიანცი, რომელიც ექ. კოჩორიანცის რეკომენდაციით დიდის ენერგიის პატრონი და დიდი „რეზონიორია" (ეს რეზონიორობა რა შუაშია აქ, ვერ მივხვდით) და რომელსაც ამას წინეთ რაღაც „ნედორაზუმენიე" ჰქონდა დამზღვევ საზოგადოებასთან.

უფრო ხანგრძლივი კამათი და თან ერთი ინციდენტი საბებიო ინსტიტუტის ორმა სტიპენდიამ გამოიწვია. როგორც ვიცით, ქალაქმა დანიშნა ორი 40 მანეთიანი სტიპენდია ხსენებულ ინსტიტუტში. გამგეობის აზრით, ეს სტიპენდიები უნდა დაენიშნოს საზოგადოთ ღარიბ მოსწავლე ქალებს, რომელთაც გამგეობავე ამოირჩევს ინსტიტუტის ადმინისტრაციისაგან წარმოდგენილ კანდიდატებიდან; საგანგებო კომისია და ზოგიერთი ხმოსნები თხოულობდნენ, რომ სტიპენდია დაენიშნოს ხსენებულ ადმინისტრაციის წარმოდგენით ღარიბსა და თან კარგ მოსწავლესაც. არ. ბაბოვი და ლისიციანი კი იმ აზრის იყვნენ, რომ სტიპენდიის დანიშვნა საბჭოს საქმეა და ამიტომ არ ივარგებს საბჭოს შეზღუდვა ინსტიტუტის ადმინისტრაციის სიით შეზღუდვაო. მართლაც, ყველამ იცის, თუ ხშირად რითი ხელმძღვანელობს ოფიციალურ სკოლის ადმინისტრაცია სტიპენდიების დანიშვნის დროს, და ამიტომ ბაბოვისა და ლისიციანის აზრი უფრო მეტის ყურადღების ღირსი იყო, მაგრამ საბჭომ მაინც საგანგებო კომისიის აზრი მიიღო.

არ. ბაბოვმა სცადა ამ არა სასურველ დადგენილების შესწორება—მივუმატოთ შენიშვნა, რომ გამგეობას უფლება აქვს გარდა სკოლის ადმინისტრაციის სიისა იხელმძღვანელოს სტიპენდიის დანიშვნის დროს საკუთრის ცნობებითაც. მაგრამ შორს გამჭვრეტი ხმოსნები მიუხვდნენ ბაბოვს და ყველა მათგანი განსაკუთრებულის სიამოვნებითა და კმაყოფილებით ამტკიცებდა, რომ ამ შენიშვნის მიღება გააქარწყლებს საბჭოს დადგენილებასაცო. ალბად, შესტაკოვიც მიხვდა ამას, რომ არ მოისურვა ბაბოვის წინადადებისათვის კენჭი ეყარა, რამაც სამართლიანად გამოიწვია წინადადების ავტორის ენერგიული პროტესტი—საბჭოს პრაქტიკაში არ ყოფილა ასეთი შემთხვევაო, ხმოსანი თხულობს მის წინადადებას კენჭი უყარონ და თქვენ კი ამას ეწინაამდეგებითო, გთხოვთ ოქმში შეიტანოთ ეს ჩემი პროტესტიო; სხვა ბევრი მწარე სიტყვებიც იყო წარმოთქმული. ბ. შესტაკოვს სხდომის გათავების შემდეგ უკვირდა, რომ იგი ოფლში იწურებოდა.

პრესსა

ბევრი თქმულა და დაწერილა რკინის გზების მცირე მოხელეთა შევიწროებულ მდგომარეობის შესახებ. მათ ნაკისრი აქვთ მრავალი მძიმე მოვალეობა, რომელთა აღსრულება მოითხოვს დიდ ჯაფასა და მუდმივს ყურადღებას. თუ რამ უბედურება მოხდა გზაზე, მაშინვე მცირე მოხელეს გამოსძებნიან და პასუხს იმას აგებინებენ. მათი მდგომარეობის გაუმჯობესება კარგა ხანია განზრახულია მთავრობისაგან, ახლა საგანგებო კომისიაც მუშაობს ამ საქმისათვის; მაგრამ როდის განხორციელდება ეს განზრახვა, ჯერ არავინ უწყის. „ნოვ. ვრემ". იხსენიებს ამ გარემოებას და ამბობს, რომ რკინის გზების უმთავრეს მმართველობას სხვა უფრო საყურადღებო საქმე არ უნდა ჰქონდეს გადასაწყვეტი, როგორც მცირე მოხელეთა შველა-დახმარება. სხვა-და-სხვა სასჯელთა შორის, რომელთაც უნიშნავენ ხოლმე დამნაშავე მცირე მოხელეთ არის ჯარიმის დანიშვნა. ძნელი წარმოსადგენია, როგორ სტანჯავს ხსენებულ მოხელეთ, რომელთაც ისედაც მცირე ჯამაგირი აქვთ, ჯარიმების გადახდა. მაგრამ, საბედნიეროთოთ, ამბობს „ნოვ. ვრ". როგორც სჩანს, ამ სისტემას ბოლო ეღებაო.

ამ დღეებში დაჯარიმება მოსპო ამიერ-კავკასიის რკინის გზების ახალმა უფროსმა ინჟ. ივანოვსკიმ; მოსპო აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზების უფროსმა ინჟ. ნემეშაევმა. სამხრეთ-დასავლეთ რკინის გზებზე ჯარიმების სისტემა 20 წელს არსებობდა; იყო წლები, როდესაც მცირე მოხელეთ ჯამაგირებიდან ურიცხავდნენ 30 ათას მანეთზე მეტ ჯარიმას! ამ სისტემას სარგებლობა არავითარი არ მოჰქონდა; ეს იმითაც მტკიცდება, რომ, როდესაც გზათა მმართველობა დაეკითხა სხვა-და-სხვა განყოფილებათა უფროსებს—საჭიროა თუ არა ჯარიმების დატოვებაო,—ყველამ უარი სთქვა.

ოცი წლის გამოცდა და პრაქტიკა ასეთ უვარგისის სისტემისა, ცოტა არ იყოს, მეტის მეტია; მაგრამ, რუსები იტყვიან „უმჯობესია გვიან იყოს, ვიდრე არასოდეს"!

⁂

„ნოვ. ობოზრენიე"-ს შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი ამოუკითხავს გაზეთ „ნიკოლსკ-უსსურ. ლისტოკ"-ში:

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე, რომელიც ახლა კეთდება, ამას წინად რელსები და სხვა მასალა უნდა ჩაეშვათ მაღალ მთიდან ქვემოთ. ინჟენერს კ—ვს იმ წამს ლოკომოტივი და ვაგონები არა ჰქონია; ყოფილა მხოლოდ რამდენიმე პლატფორმა. მაშინ კ—ვს უფიქრია და შემდეგი ღონისძიება მიუღია: მოუხმია ჩინელი მუშები, შეუბამს ისინი პლატფორმებში თოკებით და უბრძანებია: ნელ-ნელა ჩაუშვით ქვევით პლატფორმებიო. მუშები დაიძრნენ; მათ უნდა გაევლოთ საშინელი გზა: მეტად დაცემული კლდე, რომლის ერთ მხარეს ღრმა უფსკრული იყო. თავდაპირველად საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ უეცრად ერთ მოსახვევზე წინა პლატფორმა გადასცდა რელსებს და გაექანა უფსკრულისაკენ; ერთმა პლატფორმამ სხვებიც თან გაიყოლია; მუშებმა ვერას გზით ვერ შეიკავეს თავი, ვერ გაინთავისუფლეს თავები თოკებისაგან და გადავარდნენ უფსკრულში. პლატფორმებიც და მუშებიც ლუკმა-ლუკმა დაიკუწნენ, ასე რომ იმათგან რაღაც საზარელი ქაში გამოვიდა.

ბევრი რამ გვსმენია ინჟენერთა „საგმირო საქმეების" შესახებ, მაგრამ ამგვარი ჯერ არა გაგვიგონია!..

დაბა-სოფლები

საგარეჯო. ტფილისის მაზრის უფროსმა თავ. ჯანდიერმა გასცა ბრძანება სამი სოფლის: საგარეჯოს, ნინოწმინდის და გიორგიწმინდის საზოგადოებათ შეკეთონ თავიანთი ხარჯით საგარეჯოს სახელმწიფო სასოფლო ქსენონის შენობა, რომელიც სრულებით დაძველებულია; რადგანაც ამ შენობის შეკეთება თხოულობს დიდხარჯს, ამ სამ სოფლის საზოგადოების მცხოვრებთ სიღარიბის გამო „ვერ შესძლეს მაზრის უფროსის ბრძანების ასრულება. მხოლოდ სთხოვეს, რომ, რადგანაც საგარეჯოს ქსენონი საექიმო დახმარებას აღმოუჩენს ამავე მაზრის სხვა სოფლების მცხოვრებთაც სახელდობრ: ხაშმს, მუღალოს, სართაჭალას, პეტერსდორფს, ფრეიდენტალს, მარიენფელდს, პატარძეულს, თოხლაურს და მანავს, მათაც მიიღონ მონაწილეობა შენობის შეკეთების ხარჯში. კარგი იქნება, რომ ამ საქმეს მალე მიეშველონ, რადგანაც შენობა ძრიელ ძველია და, თუ ამ გაზაფხულის წვიმებს არ დაასწრეს, თავზე ჩამოენგრევათ და უმსხვერპლოდაც არ გადარჩებიან.

ვარანცოვკა (ბორჩალოს მაზრა). სოფელ ვარანცოვკაში და მის ახლო-მახლო სოფლებში ცუდ სანიტარულ მდგომარეობის გამო გავრცელებულია გადამდები სენი ე. ი. ხუნაგი, ქუნთრუშა და მუცელა, რომლითაც იხოცება დღეში არა ნაკლებ—ოთხი-ხუთი კაცისა. ამიტომ ტფ. გუბერნატორმა გაგზავნა საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბ. მაჭავარიანი ბორჩალოს მაზრაში, რათა მან დაათვალიეროს ყველა სოფლები, სადაც კი გავრცელებულია ავადმყოფობა და აგრეთვე ტფილისის გუბერნიის საექიმო მმართველობამ, გუბერნატორის განკარგულებით, მისცა წინადადება ბორჩალოს მაზრის სასოფლო ექიმს ინიევს წავიდეს სოფელ ვარანცოვკაში ერთი ფერშლით და ყოველივე საჭირო წამლებით, რათა საექიმო დახმარება აღმოუჩინოს ავადმყოფებს.

გუბერნატორმა აგრეთვე მისცა ბრძანება ბორჩალოს მაზრის უფროსს, რათა მან ბრძანების მიღებისთანავე გაგზავნოს სოფელ ვარანცოვკაში ადგილობრივი პოლიციის ბოქაული ანუ ერთი თავისი რომელიმე თანაშემწეთაგანი მისაღებათ ყოველივე ღონის-ძიებისა ყოველივე უსუფთაობის გასასუფთავებლად როგორც სოფ. ვარანცოვკისა, აგრეთვე ახლო-მახლო სოფლებში, რომლებშიაც კია გავრცელებული გადამდები ავადმყოფობა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

18 მარტი

პეტერბურგი. აპრილის დასწყისს ბალკანეთის სახელმწიფოებში მიდის სამთო ინჟენერთა კომისია, რომ შეისწავლოს ადგილობრივი ბაზრები და გამოირკვიოს პირობანი თუჯისა და ქვანახშირის გადაზიდვისა.

ხარკოვი. „ხარკოვ. გუბ. ვედომოსტებში" დაბეჭდილია ამბავი ბოლოდუხოვიდან: „სამ მარტს ეპარქიის მისიონერი ბოგოლიუბოვი ესაუბრა დიდ-ძალ თავ-მოყრილ მართ-მადიდებელთ; საუბრის ბოლოს ეკკლესიაში დამსწრენი დაერივნენ შტუნდისტებს; ზოგიერთი შტუნდისტი სუბუქად არის ნაცემი. პოლიციამ შეიკავა ხალხი".

ტამბოვი. ზოგიერთ გაზეთებში მოყვანილი ამბავი, რომ ტამბოვის გიმნაზიიდან რამდენიმე შეგირდი გამორიცხეს ფულის შეუტანლობის გამო, მოგონილია.

ურალსკი. ამ ნახევარ წელიწადში, რაც ურალსკის ღვინის საწყობი არსებობს, სასმელების დუქნები ორასიდან 36-მდე შემცირდა.

ხარკოვი. ოლქის სასამართლომ დაადგინა, გარდაცვალებული ალჩევსკი ცნობილი იყოს გაკოტრებულად.

ცარიცინი. გემები „სვიატოსლავ" და „კნიაგინია" ერთმანეთს დაეტაკნენ.

კალუგა. გაიხსნა სამზრუნველო საზოგადოება პირველ-დაწყებითი სახალხო განათლებისა.

მოსკოვი. საგენერალო შტაბის ოფიცრებმა სადილი გაუმართეს აღმოსავლეთიდან მოსულთ საფრანგეთის პოლკოვნიკს მარშანს, კაპიტან სოვაჟს და კაპიტან ალდერს. დეპეშა გაუგზავნეს საფრანგეთის მთავარ შტაბის უფროსს. საპასუხო სიტყვაში მარშანმა მოიხსენია რუსის ჯარების ღვაწლი.

კიევი. თურქესტანის გენერალ-გუბერნატორმა იფანოვმა ოთხი დღე დაჰყო კიევში და შემდეგ ტაშკენტში გაემგზავრა.

ქრისტიანია. „რეიტერის სააგენტოს" ატყობინებენ 15 მარტიდან, ხელ-შეკრულება დაიდო რკინის გზის აშენებაზე ნარვიკიდან შვეციის საზღვრამდე. მეორე გზაც, რომელიც ჩრდილოეთ შვეციის გზას უნდა შეუერთდეს, იმავე ვადაზე უნდა გათავდეს. მხოლოდ ცოტა მანძილიდა რჩება, რომ ნორვეგია და შვეცია შეერთდნენ ფინლანდიასთან.

19 მარტი.

პეტერბურგი. ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული დიდის მთავრინის ელისაბედ თეოდორეს ასულის თანხლებით ბრძანდებოდა შინად-მრეწველობის გამოფენაზე.—ფინანსთა მინისტრმა გამოუცხადა უმართებელესს სენატს, რომ ნოვოზიბკოვის რკინის გზის ობლიგაციები მიიღება გირაოდ სახაზინო საიჯარო საქმეებში 1902 წლის პირველ ნახევარის განმავლობაში.—„პრავიტ. ვესნიკ"-ში გამოცხადებულია ინსტრუქცია, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ მოუსავლობით დაზარალებულ ადგილებში გაგზავნილმა პირებმა.—მცირე კომისიამ, ანრეპის თავჯდომარეობით, ის აზრი გამოსთქვა, რომ საშუალო სკოლაში ფიზიკური ვარჯიშობა ყოველ-დღე უნდა სწარმოებდეს. საჭიროა იზრუნონ საგანგებო ინსტიტუტზე, რომელმაც უნდა მოამზადოს ფიზიკურ ვარჯიშობათა ხელმძღვანელები.

„ტორგოვო-პრომიშლ. გაზეთი" იტყობინება, რომ მიწად-მოქმედების მინისტრი ერმოლოვი არჩეულ იქმნა საფრანგეთის აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

სიმლა. პენჯაბში შავი ჭირია; ორთა-შუა რიცხვით თვეში კვდება 70.000; მიღებულია ზომები სენის გავრცელების წინაღმდეგ.

ბერლინი. გარდაიცვალა ცენტრის წარმომადგენელი ცნობილი დეპუტატი ლიბერი.

პრეტორია. შალკ-ბურგერის ცდამ—გაემართა მოლაპარაკება შტეინთან, ამაოდ ჩაიარა.

კიევი. შტაბს-კაპიტანმა სოფრონოვმა სამჯერ ესროლა რევოლვერი პორუჩიკ გროდსკის, რომელიც რამდენიმე წამის შემდეგ გარდაიცვალა. ჰფიქრობენ, რომ მკვლელობის მიზეზი რომანია.

ასხაბადი. ამუ-დარიის ფლოტილიის უფროსის ტერსკის პეტერბურგში წასვლის მიზანია გამორკვევა კითხვისა, თუ როგორი ტიპის გემები უნდა იქნეს ამუ-დარიაზე.

მოსკოვი. როცა ობერ-პოლიცმეისტერი გენერალი ტრეპოვი მთხოვნელებს იღებდა, ერთმა მთხოვნელმა ქალმა რევოლვერი ესროლა მას, მაგრამ რევოლვერი არ გავარდა. დამნაშავე, მასწავლებელი ქალი ალარტი, შეიპყრეს.

კურსკი. მცირე წლოვან დამნაშავეთა საზოგადოების კრებაზე მადლობა გამოუცხადეს თავმჯდომარეს კოზლიანინოვს საქმის ბრწყინვალედ გაძღოლისათვის.

პერა. რუსული კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ დოლინა, აუერი და პიანისტი მიკლაშევსკი, მეტად მოეწონა საზოგადოებას. კონცერტს დაესწრნენ დიპლომატიური კორპუსი და ოსმალეთის წარჩინებულნი მოხელენი.

ტიუმენი. აღმოაჩინეს ვერცხლის ფულის ყალბის მჭრელები, რომელნიც 10 თვის განმავლობაში მუშაობდნენ.

ოდესა. უნივერსიტეტში შესდგა გოგოლის დაგვიანებული დღესასწაული.—დაატუსაღეს გოპო, რომელმაც დაგზავნა რუსეთში, ოდესაში არ არსებული საათისა და ოქროს ნივთების მაღაზიის პრეის-კურანტები. მის სადგომზე ბევრი წერილები, ბევრი ფულიანიც ნახეს, ციმბირიდანაც კი.

პეტერბურგი. ხელმწიფე-დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული და დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული ისააკის სობოროში ბრძანდებოდნენ.

პეტერბურგის ბირჟა 18 მარტს

ვექსილის კურსი 6 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,00	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,70	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,65	
ბირჟის დისკონტი	4¹/₂—6¹/₂⁰/₀	
4⁰/₀ სახელმწიფო რენტა	96⁵/₈	გაყიდ.
4¹/₂⁰/₀ შინაგანი სესხი 1893 წ.	98³/₄	„
4⁰/₀ გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა	—	
5⁰/₀ 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	469¹/₂	„
5⁰/₀ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	364³/₄	„
5⁰/₀ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	307¹/₂	„
5⁰/₀ ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
4¹/₂⁰/₀ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5⁰/₀ გირავნ. ფურც.	89¹/₈	„
4¹/₂⁰/₀ გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6⁰/₀ გირ. ფურც.	—	
5⁰/₀ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—	

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი**.

ორშაბათს, 25 მარტს, გაიხსნება ტფილისში, მადათოვის კუნძულზე,
Ф. И. ФЕЙСИС ДИДИ МУЗЕУМИ.

მუზეუმში 100-მდე სხვა-და-სხვა საგანია. მრავალი ახალი სანახავი! სცენაზე ბევრი ახალი სანახავია პარიზიდან: 1) დაფნა, დევნილი აპოლონისაგან; 2) გალატეა, მარმალილოს პატარძალი და სხვა. მუზეუმი გახსნილია **ყოველდღე** დილის 10 საათიდან საღამოს 11-მდე; წარმოდგენების დასაწყისი ნაშუადღევის 2-დან. დაწვრილებით იხ. აფიშებში. (20—1)

Дозволено цензурою Тифлисъ, 19 Марта 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.